


საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 43 ოქტომბერი 12 1897 წ. № 43

**შინაარსი:** პოლიტიკური მიმოხილვა მაზაკვალისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—„კვალის“ კორესპონდენციები.—კრიტიკული შენიშვნები პ. სურგულაძისა.—*** ლექსი გ. გოგოლაძისა.—წერილები ინგლისიდან (შემდეგი) საზღვარ-გარეთელისა.—ბებია ელიზა ორჟეშკოსა (დასასრული) ნათარ. ელ. წერეთლისა.—ქართული თეატრის განცხადება.



## პოლიტიკური მიმოხილვა.

ს შედეგები, რაც სომხების მოძრაობას და საბერძნეთ-ოსმალეთის ომს მოჰყვა, თან-და-თან უფრო გვარწმუნებენ, რომ განათლებული სახელმწიფოები ევროპისა აღარ ხუმრობენ და ფრიად სამძიმო საგონებელში არიან ჩავარდნილი იმის გამოსაცნობათ, თუ ვის უნდა დარჩეს ბურთი და მოედანი ახლო მომავალში, ვის უნდა ექნეს უპირატესობა აზია-აფრიკის ქვეყნებში. ერთი მხრით რუსეთ-საფრანგეთის კავშირმა თითქმის სამთა კავშირის სახელმწიფოები შუაში მოიმწყვდია და ინგლისი, ეს ზღვათა სახელმწიფო, ევროპის ხმელეთს სრულებით მოაცილა, ცალკე გააგდო; მაგრამ, როგორც ჩანს, თვით ინგლისს სრულებითაც არ აწუხებს ეს გარემოება. ის განზე გამდგარი თითქოს სეირს უყურებს, ევროპის ორ ძლიერ მოპირდაპირეთაგანში, სამთა და ორთა კავშირებ შორის რომელი უფრო ადრე ებღლვნება და ქვეშ ამოიდებს მეორეს, რომ მით ორივესი განსაცდელით ისარგებლოს. მეორე მხრით არც ის არის უყურადღებოთ დასაგდები, რომ თუმცა ორთა კავშირი და სამთა კავშირი ერთმანეთს მტრულად უყურებენ და კვალში უდგიან, მაგრამ ამ ჟამათ, ისინი მაინც მეგობრული განწყობილებით ერთმანეთს ხელს აძლევენ, რომ მათი საერთო მტერი—კუნძულელი ავაზაკი,—რომელიც არც ერთ იმათ მოსვენებას არ აძლევს და ყოველ გემრიელ ლუკმას ხელიდან აცლის ორივეს მსოფლიო საპოლიტიკო ასპარეზზე, ჩამოიშორონ, დასცენ ძირს და მისი მდიდარი სამკვიდრებელი აზიაში და აფრიკაში თვითონ გაინაწილონ. ამ მიმართულებას ახლანდელი ევროპის პოლიტიკისას ცოტაოდნათ ნათელს ფენს ინდოეთში ახლათ გამოწვეული აჯანყება, აბისინიის სახელმწიფოში რუსეთის გავლენის გაძლიერება და გერმანიის დაახლოვება ოსმალეთთან. ამ საგნის გამოსარკვევათ ინგლისის სამინისტრო გაზეთის „მორნინგ პოსტის“ კორესპონდენტი ყოფილა პროფესორ ვამბერისთან და გამოუკითხავს: „როგორი აზრის ბრძანდებით გერმანიისა და ინგლისის ერთმანეთშორის მტრულ განწობილებაზეო? ვამბერიმ ასე უპასუხა: „იმპერატორი ვილჰელმი ინგლისის წინააღმდეგ დაუმეგობრდა და დაუკავშირდა ოსმალეთსო. ეს ადვი-

ლათ აიხსნება იმითაც, რომ გერმანიას ამ ბოლოს დროს ძალიან მოსაგები და სასარგებლო საქმეები გაუჩნდა ოსმალეთის სახელმწიფოში, წარსულ საბერძნეთ-ოსმალეთის ომის მზადების დროს მთელი საჭირო თოფ-ზარბაზანი, ტყვია წამალი და სხვა სამხედრო მასალის დამზადება ოსმალეთმა მხოლოთ გერმანიის ქარხნებს შეუკვეთა. მარტო ამაში გერმანიამ ოთხმოცი მილიონი მარკი მოგება გაიტანა ოსმალეთიდანო.

მრავალი გერმანიელი მსახურებს ოსმალეთის სახელმწიფოში და დიდი ჯამაგირებიც ეძლევათ. გერმანელებსვე აქვთ მინდობილი რკინის გზების კეთება ოსმალეთის სახელმწიფოში. ყოველივე ეს აფერხებს აღმოსავლეთის საქმის საბოლოოთ გადაწყვეტასო".

მართლაც ამ ჟამათ არავისთვის დაფარული არ არის, რომ გერმანია თან-და-თან უფრო ქომაგობს ოსმალეთს, მისი გამარჯვება და გაძლიერება ამ უკანასკნელ დროს სულ გერმანიის ხელმწიფის და მისი დიპლომატიის შემწეობით ხდება. აქ სხვათა შორის ის იდუმალი განზრახვაც ჩანს, რომ თუ ვინიცობაა ორთა კავშირმა იერიში მიიტანა სამთა-კავშირზე, გერმანიას უნდა, რომ ხელში ჰყავდეს ოსმალეთის ძალა რუმინიასთან ერთათ, რომ ფლანგური მოძრაობით სამხრეთიდანაც შემოჯაჭვოს რუსეთის სამხედრო ძალა ომიანობის დროს. მანამდის კი რუსეთსა და გერმანიას საერთო პოლიტიკო-ეკონომიური ინტერესები ოსმალეთთან და საფრანგეთთან ერთათ ამოქმედებს.

ოსმალეთს და საფრანგეთს საერთო ინტერესი აქვთ, რომ ინგლისი განაძეონ ეგვიპტიდან, ხოლო რუსეთი და გერმანია კი ცდილობენ, რომ აფრიკის ქვეყნებში, რაც შეიძლება, დიდი მიწა-წყალი ხელში ჩაიგდონ. გერმანიას უნდა სამხრეთ აფრიკაში ტრანსვაალის რესპუბლიკა ინგლისს წაართვას. ამ ჟამათ საფრანგეთს საიდუმლო მოლაპარაკება აქვს ისპანიასთან, რომ რამენა-რათ ინგლისს შეერთებული ძალით გიბრალტარი წაართვან და ხმელთა შუა ზღვა დაუკეტონ. ეს ამბავი მართლაც მჭიდროთ არის შეკავშირებული ლონდონიდან მიწერილ ამბავთან, რომელიც საფრანგეთის გაზეთ „ტამპში" იყო ამას წინათ გამოცხადებული: „აქ, ლონდონში, ყველა ძალიან დააფიქრაო ინგლისის მთავრობის განკარგულებამ, რომ ინგლისის პირველი გვარდიის ბატალიონი ამ დღეებში უნდა გაიგზავნოს გიბრალტარის ციხის დასაცველათაო. ორმოცი წელი მეტია, რაც არც ერთი გვარდიის ბატალიონი ინგლისიდან სხვა ქვეყანაში არ გაუგზავნიათო. მხოლოთ 1862 წელს, როცა ამერიკაში დიდი ბრძოლა გაიმართა სამხრეთელებსა და ჩრდილოელებს შორის, შოტლანდიის გვარდიის გრენადერები კანადაში იყვნენ გაგზავნილნი. ყოველ შემთხვევაში ახლა გვარდიის გაგზავნა გიბრალტარზე იმას ამტკიცებს, რომ რა კი ამ ჟამათ ინდოეთში განდგომილება და ბუნტია, ინგლისს უნდა ყოველ შემთხვევისათვის მზათ იყოსო".

როგორც ეტყობა, ყოველივე ზემოთ მოყვანილი ამბები ინგლისს სარწმუნოთ მიაჩნია და ამისთვის იგი ამ ჟამათ დიდ სამხედრო მზადებაშია. სიფთხილეს თავი არ ტკივაო—ამბობს გულში მზაკვარი კუნძულელი.

ამ დღეებში ლორდი უოლს ლუი გლაზგოს ქალაქის საპატიო წევრათ აირჩიეს და ამის გამო მან წარმოთქვა თავისი პოლიტიკური მოსაზრება, რომელშიაც ის ამტკიცებდა, რომ ახლა ისეთი დრო დადგა, რომ ინგლისმაც უნდა გაამრავლოს ჯარებიო და ომიანობისთვის მზათ იყოსო.

ლორდმა წარმოთქვა: „ინგლისმა საჩქაროთ უნდა გამოაწყოს დიდი არმია, რომ ერთი მხრით თავისი სამშობლო დაიცვას და მეორე მხრით ზღვის იქით კოლონიები მტერს არ გაატანოსო".

ყოველივე ეს იმის ნიშანია, რომ ახლო მომავალში შესაძლებელია გამწვავდეს ევროპის სახელმწიფოებ შორის ურთიერთი დამოკიდებულება. მით უფრო მოსალოდნელია ასეთი შემთხვევა, რომ ამბობენ, ვითომც ოსმალეთი ამზადებდეს მემორანდუმს ევროპის სახელმწიფოებისადმი. საგანი ამ მემორანდუმისა ის იქნება, რომ მოაგონოს ევროპას შემდეგი კითხვა: რადგან ეგვიპტე ოსმალეთის საბძანებლოა და დღეს იმას უკანონოთ ფლობს ინგლისიო, ამისათვის დროა სახელმწიფოებმა თავისი წარმომადგენლები შეკრიბონ და ერთამათ მოთხოვონ ინგლისს, რომ ეგვიპტე ისევ სულთანს დაანებოსო. ამბობენ, ამ საგანზე მალე შეიკრიბება ან კონსტანტინოპოლში და ან პეტერბურგში კონფერენცია, საცაა მეთაურობა რუსეთის წარმომადგენელს უნდა დაუთმონო. როგორც უნდა ვიფიქროთ, ეს კი ცხადია, რომ რუსეთმა საფრანგეთის კავშირით დიდი პოლიტიკური ძალა მოიპოვა და გახდა მსოფლიო სახელმწიფოთ. უეჭველათ იგი დიდ ხანს არ დააგვიანებს, რომ ასეთი მდგომარეობით შესაფერათაც ისარგებლოს.

მაზაკვალი.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

ქართველთა ამხანაგობამ დაიწყო წარმოდგენების მართვა ოთხშაბათს, 8 ოკტომბერს. პირველათ წარმოადგინეს სარდუს ახალი კომედია: „აი გიდი მეგობრებო!!“ მსახიობნი კარგათ იყვენ მომზადებულნი, ეტყობოდათ რეჟისორის ხელმძღვანელობა, არ ემჩნეოდათ ჩვეულებრივ როლების უცოდინარეობა, მხოლოთ ერთი რამ აკლდა წარმოდგენას: პიესას შინაარსი არა ჰქონდა. საკვირველია სარდუს პიესებში რაღა უშინაარსო რამე გადმოთარგმნეს. სამწუხაროთ ხალხი ძალიან ნაკლებათ დაესწრო.

***

ოთხშაბათს, 6 ოქტომბერს, მოხდა ქალაქის თავის ამორჩევა, ბარათებით ჩაწერილი იყო გ. გ. ევანგულოვი ოც და თერამეტისაგან, თავ. გ. მ. თუმანიშვილი ოც-და-ოთხისაგან, კ. მ. ალიხანოვი ორისაგან, დ არღუთაშვილი და ხეჩატუროვი ორ ორისაგან. ყველამ უარი განაცხადა, გარდა ევანგულოვისა. თავდაპირველათ ყუთი დაუდგეს გ. მ. თუმანიშვილსაც, მაგრამ მან აღებინა თავისი ყუთი, ისე რომ ბატონი გ. გ. ევანგულოვი, ესრეთ წოდებულ „დვორცოვი ნომრების“ კანდიდატი, ორი ხმის უმეტესობით (თეთრი 38 ამოუვიდა და შავი 34.) აპორჩიეს ქალაქის თავათ. ბატონი გ. ევანგულოვი მართალია დიდხანს იყო ხმოსნათ და სხვა-და-სხვა კომისიებში მუშაობდა, მაგრამ მას არც ერთხელ ქალაქის საქმეებში არ უჩენია თავი არც გამჭრიახობით და არც სიმართლის გატანით, შენიც იყო და სხვასიც. საზოგადოება იცნობს მას მხოლოთ, როგორც ჭკვიან და გამოცდილ ვექილს. ჩვენი აზრით დროს შესაფერი თავი ამოირჩიეს, რადგან მის ამომრჩევლების იდეალია, რომ ფანარი დროზე იყოს ანთებული და მათ კისერი არ მოიტეხონ, მათ სასახლეებს, ქარხნებს დ სხვა უძრავ სარჩოს მეტი ხარჯი არ მიემატოს. ამის ასრულება მგონი, ბ. ევანგულოვს არ გაუჭირდება.

***

საქალაქო სასწავლებლის კომიტეტს თხოვნა შეუტანია ქალაქის მართველობაში, რომ წელს ხარჯთა აღრიცხვაში სწავლა-განათლების საჭიროებისათვის შარშანდელს მიუმატონ ათასი თუმანი.

***

კავკასიის რკინის გზის ახალ სადგურთან, სადაც საქონელს იღებენ, ქალაქის საბჭო აპირებს თავის მიაზე ბაზრობისთვის ადგილის მოწყობას, ამისათვის უკვე ადგენენ ხარჯთა-აღრიცხვას საჭირო შენობების ასაგებათ.

***

თფილისის ოლქის სასამართლო ქ. გორში განიხილავს 13 ნოემბერს თავ. ნ. ღისსამიძის მოკვლის საქმეს. ამ დღისთვის 14 მოწამეა დაბარებული.

***

ასრეთ წოდებულ ავჭალის უფასო სასადილოს დარბაზში მიუციათ ნება დღეის იქით მართონ სახალხოთ ქართულ-სომხური წარმოდგენები.

***

სოფ. ტეზერში (გორის მაზრა) 4 ოკტომბერს გუთნები გამოსცადეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მიერ გამოგზავნილმა კაცებმა. ადგილი სველი და ნოტიო იყო ამორჩეული, ამიტომაც ამან ხელი შეუშალა გუთნების კარგათ გამოცდას. ყველაზე კარგი გუთანი გამოჩნდა ეკარტის სისტემისა № 1. ეს გუთანი გაცილებით ღრმათ და განიერათ ხნავდა, ვიდრე სხვა გუთნები. ახლა სამეურნეო საზოგადოებას აზრათ აქვს სხვა სოფლებშიაც გამოსცადოს გუთნები.

***

ქალაქ ბაქოდან ატყობინებენ „ახალ მიმოხილვას“ რომ რომანის ნავთიან ადგილებს ხუთი-ექვსი დღეა საშინელი ცეცხლი უკიდია. ოთხი შადრევანი იწვის, ორი იმათგანი ეკუთვნის მანთაშოვს, ერთი— კასპიის საზოგადოებას და ერთიც ასადულაევს. დამწვარა აგრეთვე მანქანები და დიდ ძალი დამზადებული ნავთი.

***

სოფლის მასწავლებლებს მეტათ უკვიანდებათ ხოლმე ჯამაგირის მიღება, მის ასაცილებლათ კავკასიის სამოსწავლო კომიტეტის წევრებს განუზრახავთ იშუამდგომლონ მთავრობის წინ და დამატებითი ფული მოაკროვებინონ სოფელს, რომელიც თანხასავით იქნება და ჯამაგირის დაგვიანების დროს მიეცემა სოფლის მასწავლებელს.

***

ოთხასი კაცი თათარი მიბარებულა ქ. ბაქოში საღამოს კურსებზე წერა-კითხვის სასწავლებლათ. სწორეთ საყურადღებოა ამ ნაირი ამბავი.

*
* *

შარშან მიხაილოვის სახელოსნო სკოლაში გახსნეს საკვირაო სკოლა მუშა ხალხისთვის. როგორც ანგარიშიდან ჩანს სულ ცამეტ კვირა დღეს უსწავლებიათ, გახსნისათანავე ჩაწერილა 213 კაცი, მაგრამ მუდმივ მხოლოთ 80 კაცს უვლია, რუსს 30, სომეხს 20, ქართველს 18 და სხვა. მოსწავლეების ერთი სამათ შემცირება უნდა მიეწეროს ჩვენი აზრით იმას, რომ მასწავლებლები ვერ უხსნიდენ ჩვენებურ ხალხს დედა ენაზე ვერაფერს და თუ აუცილებლათ საჭირო იყო რამე, მაშინ თარჯიმანს დაეძებდენ ხოლმე (თფილისის ფურცელი.)

*
* *

რადგან კახეთის ალავერდის ტაძარი მოითხოვს სიძველის გამო გადაკეთებას, საქართველოს საეკლესიო ნაშთთა-საცავის კომიტეტს განუზრახავს გადმოიტანოს თფილისში იქაური ძველი ხატები და ხელთნაწერები. ღმერთმა ჰქნას რომ გელათის მონასტრის დღე არ დაადგეს მასაც.

*
* *

ბატონ როინაშვილს შეუწირავს საეკლესო ნაშთთა-საცავისთვის საქართველოს მეფის რუსუდანის დროის (1223, 1247 წლებისა) ვერცხლის ფული ხუცური ზედ წარწერით. ამასთანავე დაჰპირებია გადაცემას ყველა თავისი ისტორიულ-არქეოლოგიური ნივთებისა.

*
* *

ჩვენ მივიღეთ შემდეგი ახალი წიგნები:

1) „ამბავი ცხოველთა სამეფოსი“ შედგენილი ნ. რუბანკინისაგან და გადმოთარგმნილი გრ. ყიფშიძისაგან. წიგნი გამოცემულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან. გვერდი 224, ფასი 50 კ.

2) Кавказскія сказки и преданія. Р. К. Дорофеевъ. შვენივრათ და სუფთათ არის გამოცემული. (290 გვ. ღირს 10 კ.

ამ ორი წიგნის შესახებ ვეცდებით შემდეგ მოვილაპარაკოთ.

*
* *

3) მოგვივიდა ჭიჭინაძის გამოცემა „ზაქარია კეთილაძე“, თხზულ. ილ. ნადირაძისა. მოთხრობის შინაარსი არის აღებული ბედშავი ქართლის ტეტია გლეხთა ცხოვრებიდან: გლეხის ბიჭი ზაქარია კეთილაძე მოჯამაგირეთ უდგება ორ ქართველ სტუდენტს და მათგან გულმოდგინეთ სწავლობს წერა-კითხვას და ანგარიშს, შემდეგ უბრუნდება თავის სოფელს და ცდილობს მის სამსახურს. აქ მებატონესთან ისეთი უსიამოვნობა მოსდის, რომ ციმბირში იგზავნება. მოთხრობა სადათ არის დაწერილი და ხალხისთვის ურიგო არ უნდა იყოს. შეიცავს 80 გვერდს და ღირს ორ შაურათ.

## „კვალის“ კორესპონდენციები.

სოფ. ზემო სურები. (გურია) თუმცა ძალიან მივარდნილი ვართ სოფ. სურების მცხოვრებნი ორ მოპირდაპირე მთებთა შორის, რომელნიც ისე დაგვცქერიან, თითქოს გვიდარაჯებენ, რათა სხვა-და-სხვა მოულოდნელი განკარგულებანი აგვაცდინონ თავიდან, მაგრამ ჩვენ მაინც არც ერთი მოძრაობა არ აგვიხვევს გვერდს. შავ ჭირს რომ ელოდენ, ჩვენც ვემზადებოდით, ეზო-მიდამოს ვასუფთავებდით, რადგანაც ვიცოდით რომ თუ მოვიდოდა—უეჭველათ ჩვენც გვეწვეოდა. დიახ, არავითარი სენი არ აგვცდება ზემო სურებლებს. თუ ეს ასეა, ნურც ის გაგიკვირდებათ, რომ ჩვენ ის სენიც არ აგვცდენია, რომლითაც ავათმყოფობს ჩვენი საზოგადოება: უთანხმოება, ცილის წამება დ კერძო ინტერესების დაცვა. თუ რამე კეთილი საქმე დაიწყეთ, ხსენებული სენი იჩენს თავს. მეგობრები, მართალია მაშინვე გაგიჩნდებიან, მაგრამ თუ ეს საქმე გამოსარჩენი არ არის, მაშინ სიზარმაცე იჩენს თავს და საქმის ნიადაგზე დაყენებას და მის დაბოლოვებას ვერ მოესწრებით. როდესაც არსებითი კითხვებია გადასაწყვეტი ისინი გაურბიან საქმეს, მაგალითათ სწავლა-განათლების მახარობელი გამოგვეცხადა ათი წელიწადი იქნება და ზემო სურებს დღემდის არ ღისებია სასოფლო სკოლა. ამის მიზეზი ის იყო, რომ სკოლის დაარსების საქმესთან ერთათ ატყდა სურების საზოგადოებაში ათასი კითხვები. როდესაც სკოლის გახსნა მიუცილებელ საჭიროთ დავინახეთ, ყველამ სურვილი გამოვაცხადეთ საზოგადო ხარჯით სკოლის დაარსებაზე და მზრუნველებიც ამოვირჩიეთ. სასკოლო ადგილის ამორჩევაზე მივიდა საქმე, რასაკვირველია სკოლისთვის ფართო და დიდი ადგილი უნდა ამოგვერჩია, რომ სოფ. სურების ყველა კუთხიდან მარჯვე მისასვლელი ყოფილიყო, მაგრამ ბედმა გვიმტყუნა და საუკუნოთ წაიკიდენ ჩვენგან ამორჩეული კაცები, ისინი კერძო ინტერესებმა გაიტაცეს; ყველას თავისი სახლი უნდოდა გაესაღებინა და ადგილის ამორჩევაზე ვერ შეთანხმდენ. ზემო სურებლებმა მაინც არ დაიშალეს სკოლის გახსნა და

მიმართეს თავ-სურიებს, რომ ერთათ გაეხსნათ,—როგორც იყო შევთანხმდით კიდეც, განაჩენზედაც ხელი მოვაწერეთ, მაგრამ აქაც გვიმტყუნა ბედმა. გამოჩნდენ ისეთი რაინდები, რომ შებორკეს საქმე, აურ-დაურიეს. თავ-სურებმა უარი გვითხრეს, მთავრობამაც არ შეიწყნარა ჩვენი განაჩენი. დიდ ხანს ვიყავით უსკოლოთ, ბოლოს გამოჩნდა ერთი კეთილი არსება ბ. გ. ბენეიშვილი, რომელმაც დიდი სამსახური გაგვიწია. მისი თაოსნობით ველირსეთ ზემო სურების მკვიდრნი ერთ კლასიან სასოფლო სკოლას. მან არავითარი შრომა არ დაიშურა ამ საქმისთვის და ხუთი თუმანი ფულათაც შესწირა სკოლის შენობის ასაგებლათ; დანარჩენი ხარჯი, ორმოც თუმანზე მეტი, დროებით იდვა თავის თავზე. ისე რომ, მარიამობისთვეში მღ. ლ. წულაძის და მრავალი ხალხის თანა დასწრებით სკოლის შენობა აკურთხეს, სადაც მამა ლ. წულაძემ გრძნობით სავსე სიტყვა წარმოთქვა ყმაწვილების აღზრდის და სკოლის მნიშვნელობის შესახებ. მისი სიტყვები იმდენათ საგრძნობელ იყო დამსწრეთათვის, რომ ყველა მათგანმა, შეძლებისა-და-გვარათ, შემწეობა აღმოუჩინეს სკოლას. პირველ ენკენისთვიდან დაიწყო სწავლა და სამოცამდე მოსწავლე დაიარება. დიდი მადლობის ღირსნი არიან თავიანთი უხვი შემოწირულებისათვის აზ. დ. სანიკაძე, მ. სანიკაძე, დ. სანიკაძე, ი. კეკელიძე, მ. ბედინეიშვილი და ზოგიერთი მანდილოსანნი; იმედია კვლავაც არ მოაკლებენ თავიანთ ყურადღებას ჩვენ ნორჩ სკოლას,

ქ. ტრაპაიძე.

***

**დაბა ზუგდიდი.** დიდი ხანი არის, რაც ეს პატარა ქალაქი არსებობს და არ გამოჩენილა იმისთანა ვინმე, რომ აქ გაეხსნა წიგნთ-საცავ-სამკითხველო და მით მიეცა ხალხისთვის საშვალება წინ წაწევისა.—ბოლოს კი ბ. ი. კაკაბაძემ იკისრა ეს საქმე და გახსნა წიგნთ-საცავ-სამკითხველო, რომელიც, იმედია, დიდი სასარგებლო იქნება ჩვენთვის.—მაგრამ, მოგეხსენებათ ბატონებო, რომ უფასო სამკითხველოს დაარსება იქ ადვილი არ არის, სადაც ხალხს ჯერ ვერ გაურკვევია რა სასარგებლოა მისთვის სამკითხველო, რა მნიშვნელობა აქვს მას ხალხის გონების გახსნისათვის. ამისთვის ზუგდიდის სამკითხველოს თავ-და-პირველათ უნდა შემწეობა, რომ მან თავისი დანიშნულება ამ ჟამათ სისრულეში ცოტათი მაინც მოიყვანოს.—როცა ხალხი მიეჩვევა სამკითხველოს და გაიგებს მის მნიშვნელობას, მაშინ ის თავის საქმეს თვითონ წაიყვანს. ამიტომ დიდი მადლობის ღირსი იქნება ის, ვინც ხელს შეუწყობს და შემწეობას აღმოუჩენს ზუგდიდის სამკითხველოს. გარდა ამისა იმედია, ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციები უყურადღებოთ არ დასტოვებენ ამას და, თუ შეიძლება, ცოტა ხნით მაინც უფასოთ დაუთმობენ დაბა ზუგდიდის უფასო სამკითხველოს თავიანთ ჟურნალ-გაზეთებს.

ადრესი: **Въ м. Зугдиды. Книжный магазинъ Какабадзе.**

ვ. ნხოუშის-პირელი.

***

**ჯუმათის იარმუკა** (ჯუმათობა). ჯუმათის იარმუკა გურიაში იწყება 12 ენკენისთვიდან და იშლება იმავე თვის 21-ს. წელს კი იარმუკობა უსიამოვნოთ დაიწყო, რადგანაც წვიმა-ავდრების გამო ღელეები ისე ადიდდა, რომ შორეულ ვაჭრებმა ვერ მოახერხეს მათზე გამოსვლა. ახლო-მახლო დაბა სოფლებიდან აქ შეიკრიბა ოციოდე ვაჭარი, მაგრამ ცხრამეტამდის სულ მოწყენილობა იყო, რადგანაც ავდრის გამო სოფლელებმაც ვერ მოახერხეს იარმუკაში შემოსვლა.

19-იდან გამოიდარა და გაჩაღდა შვენიერი ვაჭრობა; 21-ს ისეთი შვენიერი სანახავი იყო იარმუკა, რომ მეტი არ შეიძლება: ხალხის მოძრაობა ჰგავდა ზღვის ღელვას; ნელ ხმაურობაში ხან-და-ხან გაარჩევდით არღანის ხმას და მოქეიფის ყურას; მონასტრიდან რომ დაგეხედათ, მანდილოსნების სხვა-და-სხვა ფერის ქოლგები მაისის ამწვან-აჭრელებულს დიდ მინდორს მოგაგონებდათ. ძალი ხალხი შეიკრიბა, იარმუკის ადგილი თითქმის ვერც იტევდა სოფლებიდან ამომსვლელებს. იარმუკაში ყოველ წლივ სალდება: 3000 სული თხა-და-ცხვარი; თიხისაგან დამზადებული სხვა-და-სხვა ჭურჭლები: ჭურები (ქვევრი), დერგები (ყველის შესანახია), საწყაოები, დოქები, ქოთნები და სხ. დაწნულები: გოდრები, გიდელები, კალათები, ჭილობები და სხ., აგრეთვე მატყლი, ბამბა, აბრეშუმი, დარაიები სხვა-და-სხვა ფერის, წმინდა სანთლები და ყოველგვარ სანთლის ნაწარმოები, რომლებიც მიდიან მეტათ იაფ-ფასში. იქ მოსული ჩარჩები ფრიად სარგებლობენ ამ იარმუკით. იმედია, გურიის ამხანაგობა მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას, რომ მომავალში გამოგზავნოს თავისი წევრი, რომ აქ მოტანილი საქონელი შეიყიდოს რიგიან ფასათ და ხალხი დაიცვას მოსულ ჩარჩების ბრჭყალებისაგან.

ყველას მოეხსენებათ, რომ ჯუმათი, სადაც იარმუკა იმართება, ერთი უმაღლესი საავარაკო ადგილია შუაგულ გურიაში. 12 ენკენისთვიდან აქ იარმუკა იმოდენ სასარგებლოთ არ ჩაითვლება, რაც, რომ საზარალოა, რადგანაც ამ დროს გურულები

„ცალხელ-კიდობას" ეძახიან, იმიტომ, რომ სწორეთ ამ დროს აქ ტეხა-კრეფაა; მთელი წლის სარჩო-საკვები ახლა უნდა შემოვიდეს; სიმინდს და ღომს პირუტყვი მოვდგარი ჰყავთ მოსაჭმელათ, რადგანაც ღობე სიძველის გამო უვარგისია, და ყურძენი „იზაბელა" ახლა თუ არ მოიკრიფა, სულ ძირს ჩამოცვივა. რადგანაც ჯუმათი სააგარაკო ადგილია და ენკენისთვეში ყოველგან გრილა და აცივებულია, ურიგო არ იქნება, რომ შეიცვალოს დრო იარმუკობისა, ისე რომ იარმუკა იქმნეს დანიშნული ზაფხულობით 12-იდან 27 მარიამობისთვემდე (14 დღეს), რადგანაც ჰავა აქ ძალიან კარგია და ვაჭრებიც არ დაიზარებენ სხვა-დასხვა კუთხიდან აქ ამოსვლას; საუმჯობესოა აგრეთვე ადგილობრივი მცხოვრებლებისათვისაც, რადგანაც ეს დრო სოფლის მუშაობიდანაც თავისუფალია, განზრახვა გვაქვს ამის შესახებ აღვძრათ შუამდგომლობა, სადაც ჯერ არს, და, იმედია, ყველა შევნებული პირები, ვისაც გული შეტკივა სოფლის სვე-ბედისათვის შემწეობას აღმოგვიჩენს ამ ფრიად საჭირო საქმის დაგვირგვინებაში.

ს. ჩხარტიშვილი.

---

## კრიტიკული შენიშვნები.

ალექ. ნათაძე. ბავშვების მოკეთე (,) ანუ ანბანი და პირველი წიგნი სკოლებში სახმარებელი. გამოცემა ამხანაგობისა.

### I.

ა. ნათაძის პირველ-დაწყებითი წიგნი, როგორც საზოგადოთ მიღებულია, შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში მოთავსებულია ანბანი, მეორეში კი ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნი. რადგან ამ ორ ნაწილის შედგენაში სხვა-დასხვა მოსაზრებით და მეთოდებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, ამიტომ ჩვენც ჯერ პირველ ნაწილს გავარჩევთ და შემდეგ მეორეს შევუდგებით.

პედაგოგია არის პრაკტიკული გამოყენება იმ მეცნიერებათა, რომელთაც მიზნათ აქვთ ადამიანის აგებულობის და საზოგადო ცხოვრების შესწავლა, ასე რომ პედაგოგიის წარმატება და ზრდა სულ ერთიანათ დაფუძნებულია ანტროპოლოგიის, ფსიხოლოგიის, ფიზიოლოგიის და სხვა მათგვარი მეცნიერების დარგის ზრდა-განვითარებაზე. როცა ამ მეცნიერებში მეფობდა სხოლასტიური და მეტაფიზიკური სჯა, მაშინ პედაგოგიაც მეტაფიზიკურ პრინციპებზე იყო აგებული. მეტაფიზიკი ამბობდა: ჯერ მარტივი და მერე რთული, ჯერ ელემენტი და შემდეგ მისგან შედგენილი მთელიო. ახლა ეს გადაიტანეთ ენის შესწავლაზე და პედაგოგიც გეტყვისთ: სიტყვის ელემენტი არის ხმა, მაშ ჯერ უნდა ვისწავლოთ ხმები, მერე ხმებისაგან შევადგინოთ სიტყვები და სიტყვებისაგან აზრი. სანამ სიტყვის კითხვას დავიწყებდეთ, უნდა ვიცოდეთ გამოცნობა ყოველი ხმის გამოხატულებისა, ესე იგი ასოებისა. ამ საფუძვლით ჯერ გაიზეპირებდენ მთელ ანბანს და ამას შემდეგ დაიწყებდენ სიტყვების გამოცნობას. ამ მეთოდს ჰქვია „ასოთჩათვლილი" მეთოდი. გადამეტებული წვალება და გაუგებრობა ჩვეულებრივი თანამოგზაურია ამ მეთოდისა, რომელსაც დღეს მთელ ქვეყანაზე გარდა ლეონ ტოლსტოისა, ვგონებ, არავინ ჰყავს მომხრე. თითქო ცოტა გაუმჯობესობას ამ მეთოდისას წარმოადგენს სილაბიური, ანუ მარცვლური მეთოდი, რომლის ძალით ცდილობდენ ასოების გაზეპირების შემდეგ პირ და-პირ სიტყვების კითხვაზე კი არ გადასულიყვნენ, არამედ ჯერ ასოებიდან შეედგინათ მარცვლები და მარცვლებიდან კი სიტყვები. მაგრამ როგორც პირველი მეთოდი, ისე მეორე ოდნავათ არ ეთანხმებოდენ ადამიანის განვითარების კანონებს, ისინი ორივენი მეტაფიზიკურათ სჯიდენ. მათი დევიზი იყო: „გადადი ნაწილებიდან, ელემენტებიდან მთელზე". ასე კითხვის დაყენება სრული გაუგებრობის შედეგია მაშინდელ დროში სხვაგვარათ სჯა არც კი შეიძლებოდა, სანამ მეცნიერებაში არ იჩინა თავი ევოლიუციონურმა თეორიამ. იგი დაადგა განვითარების გზას. სწავლება იმავე გზით უნდა ხდებოდეს, რა გზითაც ხდება ენის განვითარება. იგი მხოლოთ ენის განვითარების ერთ საფეხურს უნდა შეადგენდეს და არა მის საწინააღმდეგოთ უნდა იყოს აღმართული. საზოგადოთ შემჩნეულია, რომ როცა ბავში პირველათ თვალს გაახელს, ჯერ იმას ყოველი სხეული ბუნდოვანათ აღებეჭდება წარმოდგენაში. მხოლოთ შემდეგ მხედველობა, აგრეთვე სხვა გრძნობებიც უვითარდება და ბავში ნელ-ნელა დაიწყებს სხეულის ნაწილების გარჩევას, ასე რომ განვითარება სრულიად ეწინააღმდეგება მეტაფიზიკურ შეხედულობას. მეტაფიზიკა ეუბნებოდა: ჯერ ელემენტები და მერე მათგან შედგენილი სხეულიო, ეს ეუბნება—ჯერ ბუნდოვანი წარმოდგენა მთელ სხეულზე და მერე თან-და-თანი გამორკვევა და მისი ნაწილების გამოცნობაო. ასევე ითქმის ენაზედაც. ენა არის პირობითი გამოხატვა აზრისა. რა მიუძღვის წინ—ენა აზრს, თუ აზრი—ენას? თქმა არ უნდა, აზრი ენას მიუძღვის წინ. ცხოველებსაც შეუძლია აზროვნობა, მარა მისი სალაპარაკო მასალა მეტის-მეტი განსაზღვრულია, აზრები კი მას ბევრი აქვს. ბევრ ცხოველს სილოგისტური აზროვნებაც აქვს განვითარებული.

ბავშიც ჯერ ჰაზროვნებს და მხოლოთ კარგა ხნის ცდის შემდეგ ამოაბამს ენას. მაშ საფუძველი სწავლისა ხმა და ასო კი არ უნდა იყვეს, არამედ აზრი. აზრი არის ის პირველყოფილი მისწრაფება, რომელმაც გამოიწვია ენის შექმნა. აი ამ მოსაზრებაზე აშენდა ახალი მეთოდი, რომელსაც ჰქვიან ხმოვნური. ხმოვნური მეთოდის ძირითადი თვისება ის არის, რომ იმის შემწეობით ადამიანი პირდაპირ იწყებს კითხვას. ხმოვნური მეთოდით თქვენ ასწავლით კითხვას პირველი გაკვეთილიდანვე. თუ თქვენი მოწაფე ვერ ახერხებს სიტყვების გამოთქმას პირველი გაკვეთილიდანვე და ხმებს ცალ-ცალკე მარცვლავს, გამოდის, რომ ამ მეთოდით არ სწავლობს. ეს მეთოდი, რამდენათ შრომის შემამსუბუქებელია, იმდენათ რთულია. ბევრი პირობებია საჭირო, რომ ამ მეთოდით ასწავლოთ. მარა მე აქ იმათ ჩამოთვლას არ შევუდგები; მე მხოლოთ დავასახელებ ძირითად მოთხოვნილებას ამ მეთოდისა. რა კი ხმოვნური მეთოდით სწავლება ნიშნავს ნელ-ნელა და თან-და-თან კითხვის სწავლას, ვიკითხოთ, როდის შეიძლება ეს? ან რა არის კითხვის მეხანიზმი? ჩემი აზრით, ეს იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ უეცრათ შეგიძლიათ მთელი სიტყვის გადახედვა, რომ თქვენ შეუჩერებლათ, დაუფიქრებლათ, უეცრათ მთელი სიტყვა აკრიფოთ თვალით. თუ თითო ასოს დაუწყეთ ჩაჩერება, მაშინ გამოვა ასოჩათვლილი მეთოდი. თქვენ პირდაპირ სიტყვა უნდა თქვათ. რასაკვირველია, პირველათ სიტყვას ჩქარა ვერ გამოთქვამთ, დაუფიქრებლით, გააჭიანურებთ მის გამოთქმას, მარა როცა თვალს საკმაოთ ავარჯიშებთ ახალი ასოს გაცნობაში, იგი ნელ ნელა შეეჩვევა მას და შემდეგ შეუმჩნევლათ გამოთქვამთ. ამისთვის კი აუცილებლათ საჭიროა საკმარისი ვარჯიშობა, საჭიროა, რომ ყოველი ახლათ გაცნობილი ასო, რაც შეიძლება, მეტ კომბინაციებში გაიმეოროთ, უნდა იყოს მოყვანილი მრავალი სიტყვა ამ ახალი ასოთი, რომ მას თვალი შეეჩვიოს და პირველათ დაფიქრებული და ნელი კითხვა აჩქაროთ და დაუფიქრებლათ გახადოთ. ბ. ნათაძის წიგნი ამ ძირითად მოთხოვნილებას ხმოვნური მეთოდისას არ აკმაყოფილებს. თუმცა წიგნი იმდენათ მჭლეა, რომ, ამ აზრის დასაბუთება თუ გინდა, სულ უნდა ამოწერო იგი, მარა მე მაინც დავასახელებ ორიოდე გაკვეთილს. მეორე გაკვეთილზე ბ. ნათაძე გვაცნობს ასოს თ და თ ამ გაკვეთილზე შეგხვდებათ მხოლოდ შვიდჯერ. კარგი, ვთქვათ, ეს დასაწყისია და ხელში ჯერ ცოტა მასალა აქვს შემდგენელს, რადგან ჯერ ბევრი ასოები არ გაუცვნია, მარა ახლა დახედეთ მესამე გაკვეთილს. იქ ბ. ნათაძემ გაგვაცნო ასო ს; მერე რამდენჯერ დაინახავთ მთელ გაკვეთილში ამ ასოს? —მხოლოთ ოთხჯერ! შეიძლებოდა ეს ნაკლი კიდევ შემსუბუქებულიყო, რომ შემდეგ გაკვეთილში მაინც შეგხვდებოდეს ეს ასო. იქ მხოლოთ ერთჯერ დაინახავთ. მეოთხე გაკვეთილზე ვიცნობთ ასოს—ხ და იგი მოთავსებულია მხოლოთ ოთხ სიტყვაში, მათში ერთი სიტყვა—თხა—ორჯერ გამეორებულია. მეხუთე გაკვეთილზე გვაცნობს ო-ს, ისიც მხოლოთ ექვსჯერ შეგხვდებათ გაკვეთილში. მეექვსე გაკვეთილზე გავიცნობთ ი და ეს ასო ამ გაკვეთილზე მხოლოთ რვაჯერ არის ნახმარი სიტყვებში. ახლა თქვენ იტყვით, კიდევ ცოტა მასალა აქვსო. აი ბატონო, მეათე გაკვეთილი, რომლითაც ვიცნობთ ასოს ქ; აქაც ეს ასო მხოლოთ რვაჯერ შეგხვდებათ. მე-17 გაკვეთილშიაც ახალი ასო ღ მხოლოთ შვიდჯერ არის სიტყვებში ნახმარი. ჩავყვეთ ქვევით. ასეთი ძნელი გამოხატულების მქონე ასოები, როგორიც არიან ტ და ჯ, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ის კი არა, ტ შეგხვდებათ მე-24 გაკვეთილში პირველათ მხოლოთ ხუთჯერ სიტყვებში და ჯ კი მე 28 გაკვეთილში მხოლოთ ოთხჯერ. ასეთი მასალის განაწილება, უფრო კი მისი უქონლობა, შეუძლებელათ ხდის, რომ ამ წიგნით კაცმა ხმოვნური მეთოდის კვალობაზე შეასწავლოს წერა-კითხვა. ყოველი მეთოდის საფუძველი, ხმოვნური იქნება იგი, თუ ასოჩათვლილი არის ვარჯიშობა, ხოლო თვითოეული მათგანი თავისებურათ სარგებლობს ამ ხერხით. ხმოვნური მეთოდის მიზანი ის არის, რომ ყოველი ახალი ასო, რომელსაც ბავში ჯერ დიდი გონების ძალდატანებით გამოიცნობს, ნელ-ნელა შეისისხლხორცოს. როგორ შეიძლება ეს, თუ სავარჯიშო მასალა არ არის? ჩვენ წინეთ ვთქვით, რომ ხმოვნური მეთოდი ნელ-ნელა კითხვის მეთოდია მეთქი,—რა უნდა წაიკითხოთ, თუ ასო ვერ შეითვისეთ? მაშინ ჩათვლა უნდა დაუწყოთ ახალსაც და ძველსაც. ნათაძის წიგნით თუ ასწავლეთ, სწორეთ ასეც მოგივათ. ეს ჩვენ გვაფიქრებინებს, ეგების უსაფუძვლოთაც, რომ თვით შემდგენელს ჩვენი წიგნისას სული და გული ხმოვნური მეთოდისა არ ესმის, მას მარტო მისი გარეგანი მოთხოვნილებანი შეუთვისებია. ამას ამტკიცებს მისი წიგნის სხვა თვალსაჩინო ნაკლულოვანებანიც. აი ესენიც: გავლილი ასოების გასამეორებლათ ბ. ნათაძეს ახირებული მეთოდი აქვს შემოღებული. რომ უფრო ნათლათ წარმოვიდგინოთ, რაში მდგომარეობს ეს მეთოდი, ავიღოთ მეორე და მესამე გაკვეთილი. მეორე გაკვეთილით ჩვენ ვიცნობთ ასოს თ, მესამე გაკვეთილით—ასოს ს. მეორე გაკვეთილის დასაწყისათ დახატულია თითი და ქვეშიდან სახელიც აქვს მოწერილი, მესამე გაკვეთილში დახატულია თასი და ქვეშიდანაც სახელი აწერია. ამ სა-

ხელში ჩვენ გავიცანით ახალი ასო ს. წარმოსადგენია, რომ შემდეგ სიტყვებში, რომელიც ამ სიტყვას თან მოჰყვებიან, ეს ახალ გაცნობილი ასო უსათუოთ იქნება, რადგან ახალი ასოს ზედიზედ რაოდენჯერმე გამეორება აუცილებლათ საჭიროა. ასე არ იქცევა ბ. ნათაძე. იგი პირდაპირ სიტყვა თასის შემდეგ წერს: თითი, თითა და მესამეთ იმეორებს სიტყვას თასი, შემდეგ სწერია ია, თათი და ამის შემდეგ სიტყვა სათი. სად არის აქ ვარჯიშობა? ახალი ასოთი მხოლოთ ორი სიტყვა არის ნახმარი. ამისთანა გაკვეთილს სწორეთ გაკვეთილი არ ჰქვიან. ეს ისეთივე თავის მოტყუებაა, როგორც იმერელი გლეხი თავს იტყუებს, როცა შეჭამანდის სამაგიეროთ ნიორ-წყალს მიირთმევს. ასეთი მეთოდია გატარებული წიგნში! ერთი მაგალითი შუაგული ანბანიდანაც მოვიყვანოთ. მე-10 გაკვეთილზე გავიცნობთ მ-ს, სიტყვაში მეფე. გავიცანით ამ ერთ სიტყვაში ახალი ასო მ და ამის შემდეგ ვკითხულობთ ხუთ სიტყვას, რომელშიაც ეს ასო არ მოიპოება, მხოლოთ მეექვსე სიტყვით განმეორებულია ისევე პირველი სიტყვა მეფე. გასაკვირველია, სწორეთ, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა პედაგოგი, როცა ასეთი არა პედაგოგიური წესი შემოჰქონდა!

უწინ ჩვენ ვთქვით, რომ რამდენათ მეტ ასოებს შევისწავლით, იმდენათ უფრო მეტი საშუალება გვაქვს ახალი სიტყვები და წინადადებები შევადგინოთ. ამ გვარათ რამდენათ წინ მივდივართ, იმდენათ გაკვეთილები თან-და-თან იზრდება, რადგან საჭიროა ყოველ გაკვეთილში, გარდა ახალ გაცნობილი ასოსი, მეორდებოდეს ყველა წინეთ გავლილი ასოებიც. აბა დახედეთ ბ. ნათაძის წიგნს. მეცხრე გაკვეთილში (ესე იგი ცხრა ასო გაქვთ გავლილი) არ შეხვდებით უკვე ნასწავლ ასოს რ-ს, მე-10 გაკვეთილში არ არის გ, მე-11-ში არ მოიპოვება უკვე ნასწავლი ასოები თ, ვ და გ. მე-12-ში—თ, ს, გ, მე-1?-ში—მ, ფ, შ. სულ თითქმის ყოველ გაკვეთილში აკლია ასო და, რასაკვირველია, რამდენს წინ წავიწევთ, იმდენათ ეს ნაკლი ფართოვდება. ასე ნასწავლ ასოებთაგანში მე-18 გაკვეთილში არ შეგხვდებათ შვიდი ასო, მე-20-ში—ხუთი, მე-22-ში—შვიდი და ასე ვგონებ, მაგალითები საკმარისია, რომ ვთქვათ, რომ ჩემ მიერ ნაჩვენები ნაკლი შემთხვევითი კი არ არის, არამედ ორგანიული თვისებაა ამ წიგნისა. აქაც ერთი რამ არის საყურადღებო. იმ გავლილ ასოებში, რომელნიც არ შესულან შემდეგ გაკვეთილებში, ხშირათ ურევია ისეთი ასო, რომელიც პირველ წინა გაკვეთილზეა ნასწავლი. მაგალითები: მე-12 გაკვეთილზე გავიცანით შ, მე-13 გაკვეთილში კი ეს ასო აღარ შეგხვდებათ! მე-13 გაკვეთილზე გავიცანით ზ, მე-14 გაკვეთილში მისი ხსენებაც



ბებლუცი.

არ არის. მე-20 გაკვეთილზე გაეცანით ჰ, მე-21 გაკვეთილში მას ვერ დაინახავთ. რაღა განმეორება ჰქვია ამას, აღარ ვიცი!

საზოგადოთ საჭიროა, რომ ახალი ასოს გასაცნობათ ამოირჩეს ისეთი საგნის სახელი, რომლის სურათის მოყვანაც შეიძლება. ზევიდან უსათუოდ უნდა იყოს დახატული სურათი და ქვევით სახელი ჰქონდეს მოწერილი. სურათი ბავშს აცნობს, თუ რა სწერია მის ქვევით და ბავშიც ადვილათ მიხვდება უცნობი ასოს მნიშვნელობას. ეს ღონე საყოველთაოთ მიღე-



გამარჯვება.

ბულია, რაც ბ. ნათაძემაც უნდა იცოდეს. მარა, წარმოიდგინეთ, მის წიგნში რამდენიმე ადგილას მოყვანილია უცნობი ასოთი სიტყვა და საგანი კი, რომელსაც ეს სიტყვა აღნიშნავს არ არის დახატული. მართალია ეს წესი შემოღებული აქვთ ზოგიერთ „ნაქერქალი“ (лубочное) წიგნების გამომცემელთ, მარა იმათ აზრათ აქვთ სიიაფე და მასთან ბაზრის ხალხს მოგება აწუხებს, პედაგოგია კი სულ არ ენაღვლება. ბ. ნათაძე კი თითონ პედაგოგია. მაინც თუ ასე უჭირდა სურათების დახატვა, აელო ნორმალური სიტყვები, ესე იგი ისეთი სიტყვები, რომელნიც ჩვეულებრივ ბავშის ლექსიკონს შეადგენენ და, გარდა ამისა, რომელთაც ყოველგან ერთი და იგივე გამოთქმა აქვთ, ესეც ვერ მოუხერხებია. მე-10 გაკვეთილი იწყება სიტყვით მაჟუ. ამ სიტყვით ჩვენ გავიცნობთ ასოს მ. დახატული, რასაკვირველია, არაფერია. მარა ამ სიტყვის შემდგენელი ასოები, გარდა მ სა, ბავშმა უკვე იცის. არ იცის მხოლოთ მ. მაშ ის თითონ უნდა მიხვდეს, რომ ეს არის მ. ახლა როგორ მიხვდეს, როცა მაგალ., იმერეთში ამბობენ ნეჟუ, სანეჟო ვაშლი. მაშ თუ ბავშს მიეანებეთ, იგი არევს მ-ს და ჯერ კიდევ უცნობ ნ-ს.

ვასრულებ რა ამ პირველ შენიშვნას, მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა დედანის უქონლობის გამო. როგორც ვიცით, ჩვენ გვაქვს ხუთი გრძნობა; ოთხ მათგანს აქვთ თავთავისი ორგანო, როგორც თვალი, ყური და სხვა, მარა, როგორც დღეს დამტკიცებულია, ყველა ეს ორგანოები განვითარებული არიან შეხებითი ორგანოსაგან. ასე რომ შეხება ძირითადი გრძნობაა. ადამიანი არასდროს არ კმაყოფილდება მარტო საგნის განხილვით. მისი შთაბეჭდილება უფრო ძლიერი და ცხოველი იქნება, როცა იგი საგანს ხელში აიღებს, მას შეეხება. თვალ შეუხებლათ არ გვაძლევს ნამდვილ წარმოდგენას სივრცეზე. ამიტომ როცა პირველათ კითხვას ვაწყებინებთ ბავშს, თუ გვსურს, რომ მას შეუმსუბუქოთ ტვირთი, გავუადვილოთ სწავლა, რაც შეიძლება მეტი უნდა ვაწერინოთ, მინამ ვაკითხოთ, წერა იგივე შეხებაა. ბ. ნათაძეს კი დედანი თავის წიგნში სულ დავიწყებია, თუ დედანათ არ ჩავთვლით ბოლოში სათითაოთ ამოჭრილ ანბანს. პირველ დაწყებითი წიგნისთვის კი ეს დიდი დასაკლისია, მეტადრე ჩვენში, სადაც, ვინ იცის ვის რა ფანტაზია აქვს. ყოველი გაკვეთილის ბოლოში საწერი ნიმუშიც რომ იყოს, მაშინ ამისთანა ფანტაზიორებიც აილაგმებოდენ, დახრილ და სხვა გადამახინჯებულ წერას ვერ გაბედავდენ და უფრო კი — ბავშს წერა, ესე იგი სწავლა, გაუადვილდებოდა.

პ. სურგულაძე.



***

აღარ გლესავ, ჩემო ხმალო!
არც ხანჯალო, გიწმენდ პირსა!
ვხედავ რომა დაძაბუნდით —
ვერ ამაცდენთ გასაჭირსა.

—

ჩამოდექით! გზა დაცალეთ!
აღარ გაგდებთ აწ ჩვენ ლხენათ,
რადგან თქვენზე უფრო მჭრელი
იარაღი გაჩნდა ქვეყნათ.

—

მას არ უყვარს კაცთა ჟლეტა,
ის თქვენსავით სისხლს არა ღვრის;
სადაც გაჭრა თქვენ არ ძალ-გიძთ,
დამერწმუნეთ, იქ ისა ჭრის!

—

აი, ამა დიდ იარაღს
მე ვუნატრი ჩემსა ერსა;
რა შეიძენს, მაშინ ენახავ
კმაყოფილს და ბედნიერსა.

—

მხოლოთ მაშინ დაუდგება
ერს ცხოვრება სანატრელი,
და თვის თავათ მოისპობა
მტარვალი და დამჩაგვრელი.

—

მაშ არ გლესავ, ჩემო ხმალო!
არც ხანჯალო, გიწმენდ პირსა,
რადგან ვხედავ, დაძაბუნდით —
ვერ ამაცდენთ გასაჭირსა.

ჭ. გოგოლაძე

# წერილები ინგლისიდან.

## VII *)

### ლ ო ნ დ ო ნ ი.

შუადღეა. თქვენ მოგშივდათ. აქა-იქ ფანჯრებზე ასეთ წარწერას ხედავთ: Dining room— სასადილო ოთახი, და კიდევაც შეხვალთ შიგ. ამის მზგავსს ვერსად ვერაფერს ვერ ნახავთ. ოთახია პატარა და დაბალი კედლით რამდენსამე ნაწილათ დაყოფილი. თვითოეული ნაწილი სწორეთ იმოდენაა, რომ ერთი ვიწრო გძელი სტოლი და ორი ვიწრო გძელი სკამი ჩაიდგმება. ძალიანი სიყოჩაღე გინდა, რომ სტოლს და სკამს შუა ჩაეტიო. ვთქვათ გამოიჩინეთ ეს სიყოჩაღე, როგორც იყო ჩაჯექით, მარა ვაი ასეთ ჯდომას. მომწყვდეული ხართ სტოლს და კედელს შორის, გულზე სტოლი გაქვთ მობჯენილი, ზურგზე კი კედელი, ვერ გაექანებით ვერც წინ, ვერც უკან, უნდა იყოთ სარივით დასობილი. ერთი სიტყვით კარცერში ხართ. მარა სანამ მხოლოთ ზიხართ, კიდევ არაფერი, როგორც არის სძლებთ. მაგრამ აი მოგიტანეს თქვენი როზბიფი, უნდა სჭამოთ, რანაირათ? რამდენჯერ ჴელს გაანძრევთ, იმდენჯერ თქვენ მეზობელს გვერდებში მოხვდება და, მოგეხსენებათ, ეს არავისთვის სასიამოვნო არ არის. იმყოფებით ასე ორ ცეცხლს შუა, ცალკე შიმშილი გაწუხებთ და ცალკე შიში, ვაი თუ ეს გვერდების მტვრევა ძვირათ დამიჯდესო. დიდი ფიქრის შემდეგ ისევ ჩხუბს არჩევთ შიმშილობას და შეუდგებით ჭამას, მარა ისე მოკრძალებით და საცოდავათ, რომ ასე ჰგონია, ეკალს ვყლაპავო.

ამას უწოდებს ინგლისელი ჭამას!

ხშირათ ამის შოვნაც გასაჭირია. 12—1 საათზე ოთახი ერთიანათ აივსება, დასაჯდომი აღარ არის და არც მოცდის დროა, ყველას ეჩქარება, ზოგს ხელში უჭირავს ერთი საინი როზბიფი და ისე შეექცევა, ზოგი დაზგაზე არის მიყრდნობილი, ზოგი ფანჯარასთან დგას, ზოგი კიდევ სამზარეულოში მირბის და თავისი ხელით გამოაქვს თავისი კერძი. არავინ ჴმას არ იღებს, საერთო მდუმარებაა, ნემსი რომ დავარდეს გაიგონებთ, ყველას, დამჯდარს თუ დამდგარს, თან აქვს პალიტო, ქუდი, ხელში ჭოლგა, არაფერს არ მოიძრობს, გასაქცევათ მზათ არის. ორ წუთში ისადილა, გადაიხადა და მოჰკურცხლა. აი აქ ხედავთ, რომ time is money—დრო ფულია.

ინგლისელი ჯერ კიდევ ვერ შეჩვევია ყავა-ხანას და ევროპიულ რესტორანს. ეს უფრო მოცლილი კაცისათვის არის გამოგონილი, ხოლო ინგლისელს კი მუდამ ეჩქარება. ლონდონის შუაგულში შეხვდებით ყავა-ხანას, მარა თითქმის ყველა უცხოელს უჭირავს და მუშტარიც უცხოელია. ზოგ უბანში, რომელიც ორი თფილისის ოდენაა, ერთი ყავა-ხანაც არ მოიპოვება. ასე რომ იძულებული ხართ დასალიეთ შეხვიდეთ სამიკიტნოში, ხოლო სასადილოთ ამ შესანიშნავ „სასადილო ოთახში“; აქ მხოლოთ სჭამთ, სასმელი კი არაფერი არ არის გარდა წყლისა და, თუ გნებავთ, ჩაისა. სასადილო და სასტუმრო ოთახში არსად, მთელ ინგლისში, თამბაქოს მოწევა არ შეიძლება. თამბაქოს მოსაწევი ოთახი ცალკეა, შეხვალ, მოსწევ და გამოხვალ. ინგლისელი არასოდეს არ მოსწევს, განსაკუთრებით, ქალების წინაშე. არსად ქალს ისეთი პატივის ცემა არა აქვს, როგორც აქ. ინგლისი ერთნაირი ქალთა სამეფოა...

მაღაზიები საქონლით სავსეა, ჩარაზმული, მარა ყიდვას არ იკითხავთ? ლონდონში რამეს ყიდვა ძნელი საქმე გახლავს. ამას დიდი ხნის სწავლა და გამოცდილება უნდა. ეს ერთნაირი მეცნიერებაა. რატომ? საქმე იმაშია, რომ ერთი უბნის ფასი ძლიერ განსხვავდება მეორე უბნის ფასისაგან, ხშირათ ერთი დუქნისა მეორე დუქნისაგან, თუმცა არსად შელაპარაკება, „ჯანჯლობა“ არ შეიძლება. ერთ ალაგას შეიძლება ჩალის ფასათ იყიდოთ, მეორე ალაგას კი მამა-სისხლათ. ყველა ამაების ცოდნა ლონდონის ცოდნას ნიშნავს, და ასეთი მეცნიერი იშვიათი მოვლენაა. მეორეთ ერთი ნემსის ყიდვა უფრო ძნელია, ვინემ ერთი სახლის. ასეთი წვრილმანისათვის შეიძლება ერთი დღე იაროთ და კიდევ ვერ მიაგნოთ თუ სად იყიდება. აი ასეთ უხერხულობის მოსასპობათ გამოუგონიათ ისეთი მაღაზია, სადაც რიგიან ფასში ყველაფრის ყიდვა შეიძლება. ამას უწოდებენ Stores და მათი უმრავლესობა კოოპერატიული დაწესებულებაა. მათ უჭირავთ, ჩვეულებრივ, დიდი და შვენიერათ მორთულ-მოკაზმული შენობა. გარედმიდან სასტუმროს ჰგავს, ხოლო როცა კარებს შეაღებთ დაინახავთ, რომ ეს მაღაზიაა. აი მაგ. თქვენ ხართ წევრი კოოპერაციის და გსურთ სახლის მოწყობილება იყიდოთ. შეხვალთ ამ მაღაზიაში, წინ მოგეგებებათ მოსამსახურე, რომელსაც საქონლის სიას გადასცემთ და თავისუფალი ხართ. დროს გასატარებლათ შეხვალთ სურათთა ოთახში, სამკითხველოში და სხ. ყველა ეს აქავეა მუშტართა გასართობათ. ამასობაში მოსამსახურე ტელეფონით ატყობიებს ყველა სართულების გამყიდველთ ეს და ეს საქონელია საჭიროვო. ცოტა ხანში დაგიბრუნებენ სიას ფასებით ჩამოწერილს და მიგიპატიჟებენ ნივთების დასათვალიერ

---

*) იხ. „კვალი“ № 42.

რებლათ. თუ მოიწონეთ, საჩქაროთ სახლში გიგზავნიან. გადახდა შეგიძლიათ ერთათ და გინდ ნაწილ-ნაწილათ. აგრეთვე, წევრის წარდგენით არა-წევრს შეუძლია ერთბაშათ ასი თუმნის საქონელი გამოიტანოს და თვიურათ 4—5 მანეთი აძლიოს. [1])

ქუჩის სანახავთა შორის საპატიო ალაგი უჭირავს განცხადებებს. ინგლისი განცხადება-რეკლამის ქვეყანაა. არაფერი არ კეთდება უგანცხადებოთ. ვერსად ვერ წახვალთ ისე, რომ თვალის წინ რამე განცხადება არ გქონდესთ. ქუჩის საკითხავი განცხადებებია, და მერე რა ნაირი განცხადება! სიმაღლე ერთი საჟენი, სიგანე ერთი არშინი თუ მეტი და ამოდენა ქაღალდზე დაბეჭდილია მხოლოთ ორი-სამი განაწერა, დანარჩენი ალაგი სურათს უკავია ან და ცარიელია. აი ნიმუში აქაური რეკლამების:

1) ერთი ძროხა ერთ ჭიქა ჩაიში!

(იხილე ანალიზი).

ვიმბოზ, ხორცის ექსტრაკტთა მეფე.

აქავე დახატულია ერთი ვებერთელა ჭიქა ჩ. შიგ ერთი ცოცხალი ძროხა. ეს ძალიან მოკლეთ მოჭრილი რეკლამაა, საიდანაც ტყობილობთ, რომ ვიმბოზის წვენს თუ იყიდით ჩ ჩაიში ერთ კოვზს ჩაურევთ, ძალიან მასაზრდოებელი იქნება. ერთი კოვზი ეს წვენი ერთ ძროხას უდრის თავისი ნოყიერებითო!

2) ჰელმის კაკაო
არის
ნამდვილი კაკაო
არის
წმინდა კაკაო
არის
არაფერი გარდა
კაკაოსი.

3) 50 თუმანი მიეცემა იმას, ვინც დაამტკიცებს შემდეგი ამბის სიყალბეს...

აქ მოთხრობილია თუ როგორ ჰკურნებს ყოველნაირ ავათმყოფობას ტომსონის ახალ გამოგონილი აბები.

4) ეკლესიის წინ:
აქ დღეს საღამოს იქადაგებს ლევდელი ჰუტონი.
ის იქადაგებს!
არ დააკლდეთ!

5) არის კრიკეტი ბერი კაცის სათამაშო?
(იხ. გაზეთი „პასუხი“).

[1]) აი სახელები ზოგი ასეთი დაწესებულების: Civil service supply Association; რეგენტის ქუჩაზე; Civil service Co-operative society. ჰაიმარკეტ-ზე; Junior Army and Navy Stores. რეგენტის ქუჩაზე, და სხ. ამ უკანასკნელის ძირის ფულია ერთი მილიონი მანეთი. აქცია ღირს ერთი თუმანი.

ახლა თეატრის განცხადებას არ იკითხავთ, ეს ჩვეულებრივი აფიშით კი არ წარმოებს, ასეთ პაწაწკინტელა ქაღალდს აქ ვინ შეამჩნევს. საჭიროა კაცის სიმაღლე აფიშა, თავზე აწერია სახელი პიესისა და იმ თეატრისა, სადაც მას დგმენ, დანარჩენ სივრცეზე დახატულია იმავე პიესიდან ამოღებული ყველაზე უფრო დრამატიული მომენტი. აქ, ჩვეულებრივ, ორი-სამი ადამიანი კვდარია, ზოგი დაჩეხილი ყრია, დგას რევოლვერის კვამლი, თმა გაშლილი ქალი მოჩხუბართა შუაშია ჩავარდნილი და სხვა ასეთი საშინელება. ერთი სიტყვით, დახედვა შეგეშინება.

აქამდი ჩვენ ტროტუარებზე დავდიოდით, ახლა გადავიდეთ ტროტუარებს შორისაც.

რამდენათ სიჩუმე და მყუდროება სუფევს ტროტუარზე, იმდენათ გრიალი და ბრაგა-ბრუგი გადის ტროტუარებს შორის. თუ პირველი ადამიანთა საპძანებელია, მეორე ცხენებთა სამეფოა. აქ მოძრაობს ყოველ-ნაირი ეტლი. ლონდონში გაცილებით მეტს მოგზაურობენ, ვინემ ფეხით დადიან. ერთი უბნიდან მეორე უბანში ფეხით გადასვლას შეიძლება ერთი დღე მოუნდეს, მოდი და ნუ მიმართავ ეტლს. ეტლთა შორის ყველაზე უფრო შესანიშნავია ომნიბუსი. ის შეიცავს ორ სართულს, პირველი ვაგონივით გაკეთებული და მეორე, თავზე, სრულიად გადაშლილი. დარში ზიხართ აქ და მთელ არე-მარეს ათვალიერებთ. სულ 32 კაცის ადგილია, შემდგარია ოთხ გოგორაზე და უბია ორი ცხენი. თუ ამოდენა ხალხი ცხენს მიყავს, ამის მიზეზი აქაური ჩინებულათ მოგებული ქუჩებია. თუ კი ერთხელ დაინძრა ეტლი, მერე თავისთავათ მიგორავს. მეორე ნაირია ორ გორიანი და ერთ ცხენიანი დახურული ეტლი. მეეტლე უკან ზის, მოგზაური წინ. შიგ მხოლოთ ორის ადგილია. მიდის სწრაფათ, ასე ჰგონია მიცურავსო. იქ სადაც ომნიბუსი ვერ გაეტევა, ეს უთუოთ გაძვრება. ეს ლონდონის ქუჩის გონდოლაა. მაგიერში ომნიბუსზე უფრო ძვირია. არის აგრეთვე ოთხ-გორიანი ფაეტონი და კარეტა, მარა სიძვირის გამო დიდ ხმარებაში არ არის. ეს თუთხმეტი დღეა ელექტრონის ეტლი აამოძრავეს. ჯერ-ჯერობით 150 ია, ღირს ისე, როგორც ფაეტონი და მიდის, რასაკვირველია, უფრო ჩქარა. მეეტლეთა საზოგადოებამ პროტესტი განაცხადა ამ ახალ მოდის ეტლთა წინაალმდეგ, მარა რას გააწყობს. ეს ელექტრონის და ცხენებს შორის ბრძოლა დასრულდება, ადრე თუ გვიან, პირველის გამარჯვებით. ცხენის რკინის გზა მხოლოთ შორეულ უბნებშია, ლონდონის შუაგულში მისთვის ალაგი არ არის.

ასე თუ ისე ომნიბუსი ეტლთა მეფეა. დილიდან შუაღამემდე ქუჩაზე მათი დაუსრულებელი მოძრაო-

ბაა. კონდუქტორი ერთი ახირებული კაცია; მუდამ ლაპარაკში, მოძრაობაში და პატიჟობაშია. რაც უნდა შორიდან დაუქნიოთ ხელი, უთუოთ გააჩერებს და სანამ არ აგსვამს, მანამ არ მოისვენებს. მიდის ნელა. ვისაც ძლიერ ეჩქარება, ის სხვა ეტლში უნდა ჩაჯდეს და თუ კიდევ უფრო ეჩქარება, რკინის გზას მიმართოს. აქ ყოველნაირი კაცისათვის არის მოგზაურობის საშუალება.

საკვირველია ერთი: ხალხი მოძრაობს აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, ხოლო საქონელი ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. ეს წარმოდგება იქიდან რომ საცხოვრებელი ბინა უფრო დასავლეთის მხრით არის, ხოლო გემებით სავსე დოკები მდებარეობს სამხრეთით, ტემზის ნაპირას. ნაშუადღევის 5—6 საათზე ქუჩა ერთიანათ ღელავს. ამ დროს ჩერდება წარმოება და ვაჭრობა და ხალხი შინ მიდის. სამაგალითო სანახავია. არსად ტევა აღარ არის, ეს ეტლთა ზღვაა, აზობოქრებული ქუჩაა. ყურთა სმენა არ არის. ამ ჟამათ იცოდეთ, მთელი ლონდონი იძვრის, რამდენიმე მილიონი ხალხი ერთი ალაგიდან მეორე ალაგას გადადის. ამის აწერა არ შეიძლება, შეიძლება მხოლოთ მისი დანახვა. აი რამდენიმე მაგალითი აქაური მოძრაობის. მარტო სიტეში დილის 5 საათიდან საღამოს 9 საათამდის 90 ათასამდე ეტლი შედის და შეყავს მილიონზე მეტი ხალხი. ერთი მეეტლე დააჯარიმეს ერთი მანეთით მხოლოთ იმიტომ, რომ ერთ წუთს გზაზე შეჩერდა, რამაც სამასი ომნიბუსის და ამდენივე სხვა ეტლთა შეჩერება გამოიწვია!

მარა კიდევ უფრო საკვირველი ის არის, რომ ამოდენა გრიალში და ხრიალში არავითარი უბედური შემთხვევა არ ხდება. ამის მიზეზია, რასაკვირველია, მოძრაობის წეს-რიგის დაცვა. აქ, მთელ ინგლისში, ყოველივე მარცხნით მოძრაობს და არაფერი მარჯვნით. ამიტომ ეტლთა თუ მატარებელთა შეჯახება არასოდეს არ მოხდება. მეორეთ, ცხენები ისე დახელოვნილია, რომ ადამიანს შეეფეთოს თვითონ გაჩერდება. მესამეთ, აქ შესანიშნავი მეეტლეებია. ლონდონის ქუჩაზე ეტლის წაყვანა ხუმრობა საქმე არ არის. ეს მოითხოვს ხანგრძლივ სწავლას, მრავალ-ჯერ გამოცდას და უკანასკნელი ეგზამენის შემდეგ შეიძლება მას ომნიბუსი ჩაბარდეს. საკმარისია ერთი ორი გოჯა სივრცე, რომ ორი ეტლმა ერთმანეთს შეუარონ, ხაჭი მოგზაური ფიქრობს, აი ეს არის წამოედება და დაეიმტვრიეთო, მარა არა, ომნიბუსი მიდის და მიდის თავისუფლათ.

მარა ამ მოძრაობის ამწყობი, რიგში მომყვანი, ფეხით მოსიარულეთა პატრონი და მფარველი არის ერთი კაცი; ეს კაცი არის იმავე დროს უცხოელთა ერთათ ერთი მეგობარი ლონდონში. ამიტომ ის უფრო ახლო გავიცნოთ.

საზღვარ-გარეთელი.

(შემდეგი იქნება).

# ბ ე ბ ი ა.

(ელიზა ორჟეშკოსი).

(დასასრული) *)

## V.

მოკამკამე ციდან ოთახის უბრალო ხის იატაკისაკენ, ირიბ, მკრთალ ოქროს ფერ ბილიკზე, წყნარი, თანასწორი ნაბიჯით, როგორც საზოგადოთ პოლონეზში იციან, ჩამოდის, სიცოცხლით და ძალ-ღონით სავსე ახალგაზდა კაცი; მაღალ-სპეტაკ შუბლს წაბლის ფერი ხუჭუჭი თმა უმშვენებს, მის მოკამკამებულ ცის კამარასავით ლურჯ თვალებში უსაზღვრო სიყვარული გამოკრთის, მარცხენა ხელში პატარა, ოთხკუთხი ქუდი უკავია. ბებია ცნობს, ვინც არის ეს ახალგაზდა კაცი და უძრავათ, გაქვავებულსავით შეჩერებია მას.

საათი სულ უკრავს... ახალგაზდა კაცი ახლოვდება. აი, ის მოვიდა ფანჯარასთან, შეჩერდა ბებიას წინ დ მარცხენა ხელის გაქნევით სათამაშოთ იწვევს. ბებია ადგილიდან არ დაიძრა. ახალგაზდა კაცმა სიყვარულით მიაპყრო მას თავისი ლურჯი თვალები სწორეთ იმ გამომეტყველებით, რომელიც ბებიამ ისე კარგათ იცის, რომელიც ისე ღრმათა აქვს გულში ჩაბეჭდილი, და წყნარი, გრძნობით სავსე ხმით უთხრა: წამომყევიო. ბებიამ ერთი ნაბიჯი წინ წადგა, გადასწია გვერდზე თავი სწორეთ ისე, როგორც თავის ქორწილის დღეს და ბედნიერებისაგან ათრთოლებული ხელი ახალგაზდა ქმარს ხელში ჩაუდვა.

საათი სულ უკრავს... ქალ ვაჟმა სახეები ერთმანეთისკენ მიიბრუნეს და წყნარი, თანასწორი ნაბიჯით, როგორც საზოგადოთ პოლონეზში იციან, გასწიეს ვიწრო მკრთალ, ოქროს ფერ ბილიკზე ოთახის უბრალო, ფიცრის იატაკიდან სულ მაღლა, მაღლა, მოკამკამე ცისაკენ.

ქალი მსუბუქათ მიდიოდა, ოქროს ფერ ბილიკს ფეხს თითქმის არც კი აკარებდა. ათასნაირი გრძნობა გულს უხუთავდა, დიდხანს ვერ მოეხერხებინა ხმის ამოღება. ბოლოს, როგორც იქნა, დაილაპარაკა:

— რა კარგი ჰქენი, რომ გამიხსენე და მომიკითხე, იას! რამდენი ხანია ვიტანჯები უშენოთ!

იასმა უპასუხა:

— ღმერთს უყვარს ერთგულები და უბრუნებს მათ ბედნიერ სიყვარულს.

ქალმა იგრძნო, რომ ეს მართალი იყო; თბილი, მშვიდობიანობით და უბიწო, სრულ ნეტარებით სავსე ჰაერი ეხვეოდა მათ გარშემო, როგორც წმინდა,

*) იხ. „კვალი“, № 42.

თხელი სახურავი, და ორივე მიდიოდენ სულ უფრო და უფრო შორს, უფრო და უფრო მაღლა, დედა მიწა კი თან-და-თან პატარდებოდა და პატარდებოდა...

ქალმა ისევ დაიწყო, თან თვალს არ აშორებდა ახალგაზდა კაცს.

— რა ახალგაზდა ხარ, იას! როდესაც მიდიოდი, თმაში თეთრი გქონდა გამორეული, წელში ცოტა მოხრილი იყავი, ახლა კი ისევ ისეთი ხარ, როგორიც იმ დღეს, როდესაც, გახსოვს? ჩემ საქარგავს უჯექი გვერდში და მეუბნებოდი „მიყვარხარო“.

იასმა ღიმილით მიუთითა მკრთალ ოქროს ფერ ბილიკზე, რომელიც მათ ფეხ ქვეშ იყო, და მხოლოთ ერთი სიტყვა უთხრა: „ჩაიხედეო“.

ქალმა თვალები დახარა და ბრწყინვალე შუქისგან ქსოვილ ბილიკში თავის თავი დაინახა, მაგრამ თავის თავი ახალგაზდა, წვრილი და წერწეტი, შვენიერი და მომხიბლავი, თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი, თეთრი ყვავილების გვირგვინით შავ ხუჭუჭ თმაში, ჰაეროვან ლეჩაქ გადაფრიალებული... არა თუ დაინახა, იგრძნო კიდეც, რომ მართლაც ამისთანა ახალგაზდა და შვენიერი იყო და მორცხვათ დაუშვა ძირს სქელი და გძელი შავი წამწამები. სიხარულით და ბედნიერებით გატაცებულმა, მან ძლივს წაიჩურჩულა:

— მერე რა იქნა დრო, რა იქნა ის წელიწადები, რომლებმაც ღრმა კვალი დააჩინეს ჩემ სხეულსა და სულს?

ისიც დააჩერდა მკრთალ ოქროს ფერ სარკეში გამოხატულ ორ ახალგაზდა, შვენიერ არსებას, რომლებსაც გარს სიყვარულის ჰაეროვანი სახურავი ეხვეოდა, და უპასუხა:

— ღმერთს უყვარს ცხოვრებისაგან დატანჯულები და ახალგაზდობას უბრუნებს მათ!

ახლა ისინი მაღლა, სულ მაღლა იყვენ, ვარსკვლავებს შორის... ვეებერთელა, ოქროსი, ლალის და ზურმუხტის შვენიერი ბურთები ჭკუისა და გონებისაგან მიუწვდომელ სივრცეში შეთანხმებულათ, ჰარმონიულათ დასრიალებდენ... ამ სივრცეში ეთერის გამოუთქმელი სიწმინდე და შუქ-მფინარი, სხივოსანი სინათლე სუფევდა; ხან-და-ხან გაიქროლებდენ ხოლმე ბრწყინვალე, მოელვარე კვიმატები რომლებიც ისე აშრიალებდენ ცეცხლისა და ალისაგან მოქსოვილ კუდებს, როგორც შრიალებს დაბურული ტყე, როდესაც ხეების მწვერვალებს ნაზი სიო გაჰკრავს...

ახალგაზდა და შვენიერები, ბედნიერი სიყვარულის ჰაეროვან ღრუბელში გახვეულები, იასი და მისი საცოლო კი აღარ მიდიოდენ, მისრიალობდენ, მიფრინავდენ სულ უფრო და უფრო მაღლა... ვაჟმა ქალს წელზე ხელი შემოხვია და სიყვარულით უთხრა:

— გამიხსენი შენი გული, მომიყევი ყველაფერს, რაც კი გამოგიცდია ქვეყანაზე, უჩივლე იმათ, ვისაც ენდური, გაამტყუნე ისინი, ვინც გაუბედურებდა. სანამდის ჩვენ მიზანს მივაღწევდეთ, გადმომეცი მთელი ის ტვირთი, რომელიც გამძიმებს, რომ ვაჩვენო იქ, ზევით, შენი სამოთხეში შეყვანის ფასათ.

იასს ჯერ არც კი გაეთავებინა, რომ ქალმა ლაპარაკი დაიწყო; მისი გული მთლათ ერთიანათ გაიხსნა იასის წინ; ყველაფერი, რაც კი შემთხვეოდა, რაც კი თავს გადახდენოდა ქმართან დაშორების შემდეგ, მწყობრათ და დალაგებით წარმოთქვეს მისმა ტუჩებმა; ყოველი გავლილი საათი, ყოველი წამი ისე იხატებოდა ამ სიტყვებში, როგორც შავი სამგლოვიარო მძივი და მხოლოთ აქა-იქ იყვენ განათებული ეს მძივები მკრთალი, მბჟუტავი შუქით. ქალმა თავი დაანდო ქმრის გულს და სულ ლაპარაკობდა, ჩიოდა... მხოლოთ ერთ მის სურვილს კი არ ასრულებდა: არავის არაფერში ამტყუნებდა. მართალია, ყველასაგან მიტოვებული და დავიწყებული იყო, მისი სული დიდხანს იტანჯებოდა მარტოობა და სიცივისაგან, მაგრამ ამაში არავინ იყო დამნაშავე, არავინ! დედა მიწაზე ყველა უბედურია, ყველას თავისი მძიმე ტვირთი აქვს და იმასაც თავისი ჰქონდა! ეტყობა, ეს აუცილებელი ყოფილა! სხვებსავით დაჩაგრულმა და სხვებსავით უბედურმა მან ყველას უნდა მიუტეოს ყველაფერი და არავის გასამტყუნებლათ არ უნდა დაძრას ენა.

ქალი გრძნობდა, რომ ყოველ სიტყვასთან ერთათ მას ცოტ-ცოტათ ცილდებოდა ყოველი სიმწარის და უბედურების გრძნობა და მის მაგიერ გულში უსაზღვრო ბედნიერება და სიხარული ესხმებოდა. ახლა თავს ისე გრძნობდა, თითქოს თავიდან მოიცილა ქვეყნიური ტვირთის უკანასკნელი ნატამალი და თითქო მხრებზე ჰაეროვანი ფრთები გამოესხა.

იასმა ხელ-ახლა შეაჩერა ქალი და ხელ-ახლა მიუთითა ბრწყინვალე შუქისაგან ნაქსოვ ბილიკზე.

— დაიხედე! — უთხრა მან.

ქალმა დახედა ოქროსფერ სარკესავით მოელვარე ბილიკს და დაინახა, რომ მხრებზე მართლაც ფრთები გამოსხმოდა. თავი ველარ შეიკავა და ხმა მაღლა შეჰკივლა; მაგრამ თავისი ხმაც კი ველარ იცნო; ეს ის ხმა აღარ იყო, რომელსაც დედა-მიწაზე შეჩვეოდა, არა, ეს სანეტარო, მუსიკალური აკორდი იყო, რომელიც ერთი ვარსკვლავიდან მეორეზე გადადიოდა, გარს ეხვეოდა მათ ჰაეროვან ღრუბელსავით და მათთან ერთათ ულეველ სივრცეში მიჰქროდა. იასმა თქვა:

— ღმერთს უყვარს ის, ვინც ჩუმათ, ხმა ამოუღებლათ იტანჯება და აძლევს მათ უსაზღვრო სიხარულს.

სულ უფრო და უფრო შორს, უფრო და უფრო მაღლა მიცურავდენ ვაჟი და ქალი. გარს ბედნიერი სიყვარულის ჰაეროვანი ღრუბელი ეხვიათ, გარშემო სულ სანეტარო გალობის ხმა ესმოდათ. ქალმა მიაქცია ყურადღება წყნარ და მშვიდობიან გამომეტყველებას, რომელიც კაცის თვალებში გამოკრთოდა, გაიხსენა ის სევდა და მწუხარება, რომლებიც ოდესმე იხატებოდა ამავე ლურჯ თვალებში და ჰკითხა:

— შენ კი... შენ ახლა ცხონებული ხარ?

ვაჟმა კითხვითვე უპასუხა:

— გახსოვს, ყველაზე მეტათ რა მიყვარდა ქვეყანაზე?

— მახსოვს!—მიუგო ქალმა.—ჩემზე უფრო, შენ თავზე უფრო, ყველაფერზე უფრო გიყვარდა ის, რაც არ იყო შენი არც პური, არც სათბური, არც შუბლის დამამშვენებელი გვირგვინი და არც საიმედო ფარი... არა! ის სიყვარული იყო შენი უბედურობა, ის საზარელ ღრუბლებათ იხატებოდა შენ თვალებში და იმან, მე ამაში ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, იმან დაგატოვებინა ისე ადრე დედა-მიწა... ახლა კი მთელი შენი არსება შეურყეველ შვიდობიანობით არის მოცული.

ქალი გაჩუმდა, ვაჟმა მიუგო:

— ღმერთს უყვარს ის, ვინც მარტო თავის თავისათვის არ იტანჯება და საუკუნოთ უღებს მას სამოთხის კარებს.

ქალ-ვაჟმა სამოთხის კარებამდის მიაღწიეს. უსაზღვრო სივრცეში უსაზღვრო ჰაეროვანი ქსოვილი იყო ჩამოფარებული; ამ ნაზ, გამსჭვერ ფარდაში თვალის მოსაჭრელათ ელვარებდენ ყოველგვარი ძვირფასი ქვები, იშლებოდენ ყოველგვარი საუცხოვო ყვავილები; სასიამოვნოთ გადაშლილიყვენ ყოველნაირი მომხიბლავი ცისარტყელები და ხალიჩებათ დაგებულიყვენ ყოველნაირი ცისკრები, რომლებიც კი ოდესმე ამშვენებდენ ცის კამარას. ყველაფერი, რაშიდაც კი სილამაზის, სიშვენიერის ნატამალია, აქ იყო, მაგრამ იყო სრულ შვენიერებამდის მიღწეული, საოცნებოთ გადაქცეული, სანახავათ სანატრელი... შვენიერების უსაზღვრობას, რომლისგანაც იყო მოქსოვილი სამოთხის კარებზე ჩამოფარებული ჰაეროვანი ფარდა, ფერთდებოდა სანეტარო ხმების უსაზღვრობაც; ჰარმონიულათ შეწყობილი გალობით ბრუნავდენ და ცურავდენ ვარსკვლავები, რაღაც გამოუთქმელი შვენიერებით სავსე შრიალით გაიელვებდენ ხოლმე ბრწყინვალე, შუქ-მფინარე კვიმატები, ეთერი ნაზათ ირხეოდა, ზღვები, ტყეები და უძირო ხრამები, ურიცხვი ფრთები, ყველა ცეცხლები და ყოველი ნათელი, რომელიც კი რომელიმე მიწაზე და ქვეყნიერებაზე იყო—ყველა შეერთებულათ, შეწყობით ატკბობდენ ყურს სანეტარო ხმებით, რომლებიც კიდით კიდემდე გაისმოდენ ამ უსაზღვრო, ულეველ სივრცეში...

მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ ამ საერთო სანეტარო გალობაში ცალ-ცალკე, სუსტი, მიყრუებული ხმებიც ისმოდა; ისმოდა თითქოს ჩიტის ჭიკჭიკი, ჭიალუის შმაშური, პატარა ფოთლების შრიალი, აკვანში გაკრული ბავშის ტირილი, ტანჯულის ყრუ, გულსაკლავი ქვითინი... ურიცხვი ქვეყნების, ვარსკვლავების, კვიმატების და ეთერის შეწყობილი მუსიკა არ ჰფარავდა ამ სუსტ ხმებს! არა! ეს ხმები ისე ერეოდენ, ისე ეფინებოდენ საერთო ჰარმონიას, როგორც წითელი ყაყაჩო ეფინება ზურმუხტივით მწვანე, მობიბინე ვრცელ ველს...

ჯვარ-საწერ თეთრ კაბაში გამოწყობილი, ფრთებ შესხმული ახალგაზდა ქალი გადახვეოდა საქმროს, განაბული იდგა სამოთხის კარებზე ჩამოფარებულ საუცხოვო ჰაეროვან ქსოვილთან და ყურს უგდებდა. აღტაცებით და გაკვირვებით ისმენდა ჰარმონიულ მუსიკას, მაგრამ მის ყურადღებას კიდევ უფრო ის სუსტი, წვრილი ხმები იზიდავდენ; ქალი მათ შორის, იმ ხმების შორის იყო აქამდის, იმათგან წამოვიდა აქ, ამ სამოთხისკენ.

— გესმის, იას? ეს ხმა ბელურის ხმაა. პატარა ნაცრისფერი ჩიტი ახლა სიამოვნებით შესჭიკჭიკებს დილის მზის პირველ ოქროს სხივს. ეს კი—პატარა ჭია მიღოღავს ერთი ბალახიდან მეორეზე. აი, ეს მწივე თავთავის შრიალია, დილის სიომ გაუქროლა და თავთავი თავის ტოლამხანაგებს ეხმაურება... ეს კვნესა... ოჰ, როგორ მეცნობება ეს კვნესა! მთელი დღის შეუწყვეტელი შრომით დაღალულ-დაქანცული ზიგმუნტი მოუსვენრათ ტრიალობს თავის საწოლში და მწარეთ კვნესის... ხომ გესმის, იას?

ამ დროს მოისმა კიდევ ერთი ახალი ხმა, კიდევ ერთმა ხმამ მიაღწია სამოთხის კარებამდის. მოისმა მუსიკა, შვენიერი და წყნარი, გულის სიღრმემდის ჩამწვდომი მუსიკა; იქ, სადღაც შორს, ქვეით, დედამიწაზე ძველი საათი უკრავდა.

— გესმის, იას?

იასს ესმოდა. დედა-მიწიდან, ჭერ-ქვეითი პატარა ოთახიდან ამოდიოდა მუსიკის ხმა, ნელი, დინჯი და წყნარი, ხან ნაზი და წარმტაცი, როგორც ახალგაზდა საქმრო-საცოლოს გრძნობა, ხან ამაყი და მედიდური, როგორც ახლათ გამარჯვებული რაინდის ფიქრი, ძველი პოლონეზის მუსიკის ხმა... იასა ყურს უგდებდა და მის მოკამკამებულ ცის კამარასავით ლურჯ თვალებში, რომლებშიაც ზეციური სიმშვიდე იხატებოდა, მოულოდნელმა ცრემლებმა იელვეს. შეშინებული ქალი შეეკითხა:

— განა ცხონებულებიც ტირიან?

ვაჟმა უპასუხა:

— დედა-მიწაზე ისეთი ღრუბლებია, რომლებიც აქამდისაც აღწევენ და ცხონებულების თვალებშიაც კი იწვევენ მოულოდნელ ცრემლებს.

ამ დროს საერთო სანეტარო მუსიკის ხმაში, სუსტ, წვრილ ხმებში კიდევ ერთი ახალი ხმა გამოერია. ეს ხმა ბავშის ტირილის ხმა იყო.

— ტადო ტირის!

ქალს აღარაფერი ესმოდა, აღარაფერი, ბავშის გულსაკლავი ტირილის გარდა.

— გესმის, იას? ტადო ტირის! საწყალი პატარა კნუტი ძალიან ავათ არის, გვერდში კი მარტო წარბებ მოღუშული, აბრეშუმის კაბაში გამოწყობილი ქალი უზის... აბრეშუმი შრიალობს და ბავშს ძილს

უფრთხობს; მარტო მე შემიძლია მისი დამშვიდება. ღმერთო! როგორ ტირის! გესმის, ხომ გესმის იას?

იასი ყურადღებას აღარას აქცევდა. თავჩაღუნული და დაფიქრებული, ის მხოლოთ საათის მუსიკის ხმას ისმენდა, ძველ, დაჟანგულ საათისას. საათი ესაუბრებოდა იასს, ესაუბრებოდა იმაზე, რაც მას ყველაფერზე უფრო უყვარდა დედა-მიწაზე, რაც არ იყო მისი არც პური, არც სათბური, არც შუბლის დამამშვენებელი გვირგვინი და არც საიმედო ფარი, იმაზე, რაც იყო მისი უბედურება, მისი სატანჯავი...

საათის ხმას ბავშის ტირილის ხმა უერთდებოდა. სულ უფრო და უფრო ხმა მაღლა, უფრო და უფრო გულსაკლავათ ტიროდა პატარა ტადო.

— ბებიკო, ბებიკო!

სამოთხის კარებთან მდგომმა ქალმა ხმამაღლა გადასძახა დედა-მიწისაკენ:

— მოვდივარ, ჩემო კნუტო, მოვდივარ, მოვფრინავ, შენ გენაცვალეო!—გადმოადგა ფეხი მკრთალ ოქროსფერ ბილიკიდან და შვენებით სავსე ზეციდან წყვდიადით მოცულ, ცივ, უძირო ქვესკნელისკენ დაეშვა.

## VI.

დიდი ხანი იყო, რაც მთვარე დამალულიყო და თავის ნაზი სინათლეც თან წაეღო. მას უკან გაჰყოლოდა მკრთალი ოქროს ფერი ბილიკიც, რომელიც მოკაშკაშე ციდან პატარა ოთახის უბრალო ფიცრის იატაკამდის ჩამოდიოდა. ახლა ფანჯარა ნაცრისფრათ გამოხატულიყო და მკრთალათ ქათქათებდა ბნელ ოთახში. ბებიას გამოეღვიძა; გარშემო წყვდიადი და სამარისებური სიჩუმე სუფევდა, მხოლოთ საათი გაიძახოდა შეუწყვეტლივ თავის „ტიკ-ტაკ", „ტიკ-ტაკ"-ს, ქვეიდან კი, შორიდან, სულ შორიდან ბავშის გულსაკლავი ტირილი ისმოდა.

ბებიას თვალწინ ჯერ ისევ ზეციური შვენება იხატებოდა, მის ყურში ისევ სანეტარო მუსიკის ხმა გაისმოდა, ისევ საყვარელი, დაუვიწყარი სახე ელანდებოდა... პირისახე მთლათ დასველებული ჰქონდა ცრემლებისაგან, მაგრამ მაინც წელში გაიმართა და წაიფურჩულა:

— ტადო ტირის!

აკანკალებული ხელებით ლამპარი აანთო. საათის რგვალმა, გაყვითლებულმა სახემ გაკვირვებით ჩამოხედა ზევიდან დ გაშლილი, აქეთ-იქით გაწეული ისრებით თითქო შეეკითხა:

— როგორ? დაბრუნდი? სამოთხის კარებიდან დაბრუნდი?

ბებიამ თავი გაიქნია, ძველ მეგობართან სალაპარაკოთ ახლა არ ეცალა. სწრაფათ ჩამოიარა კიბე, მსუბუქათ გაირბინა ოთახები და აი, ავათმყოფი ბავშების ოთახში გაჩნდა.

ვანდა ჩუმათ იწვა თავის ლოგინში, ტადო კი ხმა მაღლა გულსაკლავათ ტიროდა. ბებია მაშინვე მიუახლოვდა მის ლოგინს, არც კი შეუმჩნევია, ისე ჩაუარა გვერდში ორ შეწუხებულ დაფანტულ ქალს. ახლა კი ველარავინ ჩადგება ბებიასა და ტადოს შუა... მისთვის და მხოლოთ მისთვის დაბრუნდა ბებია სამოთხის კარებიდან...

— ჩემო კნუტო, ჩემო ძვირფასო, საყვარელო..

— ბებიკო!

ტადო სამი წლის იქნებოდა, მაგრამ ძალიან მჩატე იყო. ბებიამ ხელში აიყვანა და ოთახში წინ და უკან ტარება დაუწყო. ჩაწეული ლამპარი მკრთალათ ანათებდა, იატაკზე დიდი, შავი ჩრდილები ეფინა... ბებია დადიოდა და აკანკალებული ხმით ძ[illegible] საათის პოლონეზის ხმას ღუღუნებდა.

ბავში თან-და-თან ჩუმდებოდა, ტირ[illegible]ბგიერათ ახლა ხან-და-ხან თუ წამოიკვნესებ[illegible]ქხისაგან აწითლებული ლოყა სიყვარულით [illegible]კრა ბებიას მხარს; აი, ჯერ ისევ დაუმშვიდებელი ბავშის ნამტირალევი, მაგრამ მაინც წკრიალა ხმა გაისმა:

— ბებიკო, ექცები!

— ლექსები, ჩემო კნუტო? ლექსები გინდა, ჩემო საყვარელო? აი, ახლავე ლექსებიც იქნება!

იატაკზე დაფენილ დიდ ჩრდილებს შორის, ლამპრის მკრთალ, ნაზ სინათლეზე, ბებიამ წყნარი, თანასწორი ნაბიჯით, როგორც საზოგადოთ პოლონეზში იციან, ოთახში წინ და უკან სიარული დაიწყო და თან ნახევრათ ლაპარაკობდა, ნახევრათ მღეროდა ძველი საათის მუსიკის ხმაზე:

> ბაღი სავსეა დიდი ხეებით...
> ერთ მუხის ძირში ძველი სახლია;
> მის სახურავზე ბუდეა ჩიტის
> და შიგ მაღნაზი, წვრილი ხალხია.

ტადო კი, მან ეს ლექსი კარგათ იცის, მაშინვე უერთებს თავის ნაზ, წკრიალა ხმას ბებიას აკანკალებულს:

> მიც ცაქუაგძე ბუდეა ციტიც
> და ციგ მაქაძი, წვიი ქაქაა!

ელ. წერეთელი.

ქართული თეატრი.

კვირას, 12 ოკტომბერს 1897 წ.

ქართული დრამატული დასისაგან ეფ. მესხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

# მადამ-სანჟენ

კომედია 4 მოქ. სარდუსი თარგ. კ. მესხისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ეფ. მესხისა, გამყრელიძისა, კარგარელისა, რჩეულოვისა, საყვარელიძისა, და სხვანი. ბ.ბ. აბაშიძე მესხი, კანდელაკი, შათირიშვილი, მჭედლიშვილი, ადამიძე, კორინთელი, თამაზიშვილი, საფაროვი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორი. კ. მესხი.

ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 11 Октября 1897 г. Тип. М. Д. Ротиніанца — სტამბა, ძ. დ. როტინიანცისა Год. пр. д., № 41